<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, დიღმის ქედის ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, გაგრძელდეს დიღმის ქედის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=480290 Y=4629267
1:3,036
დიღმის ქედის ქ.
X=480405 Y=4628831

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011751197577620

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

469505

25 / ნოემბერი / 2020 წ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2020 წლის 19 ნოემბერს წარედგინა ჯიმი გურგენიძის (პ/[redacted]N M20012009 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ნომრის მინიჭება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით: N 01.72.14.006.751. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთების საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია: ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში, შესაბამისი უძრავი ნივთის მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ, ასევე ადმინისტრაციული კუთვნილების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნლეობის მქონე გარემობების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის" თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

შენიშვნა: თანდართულ სიტუაციურ რუკაზე სააგენტოს მიერ მითითებული გეოგრაფიული ობიექტის კონტური წარმოადგენს პირობით მონიშვნას, სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 3/6476976
თარიღი: 28/01/2021
პინი: ####

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას 2020 წლის 25 ნოემბრის საქმე #04-032033037-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ჯიმი გურგენიძე N M20012009 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.01.72.14.006.751).

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.

გთხოვთ, ზემოთ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0121047535**
თარიღი: **16/02/2021**
პინი: **9452**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 09.02.2021 წლის #03-0321040144 (09.02.2021წ. #14-01210402385-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი